სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

45024049541617

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170648716

რეგისტრაციის თარიღი

13.06.2017 წ

ნოტარიუსი: შორენა ხაინდრავა
მისამართი: ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
ტელეფონი: 2725342

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის ცამეტ ივნისს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18**, მომმართა **შპს «ჯორჯთაუნ»-ის დირექტორმა ოლღა ბერაძემ** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის №B16097887, ს/კ 405017440, ამონაწერის მომზადების თარიღი 06/07/2016). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ოლღა ბერაძემ** (დაბ. 27.06.1980წ, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. №38 ბ.26, პირადი №01019006365) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე მას, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ **ოლღა ბერაძემ** თავადაც წაიკითხა მინდობილობის ტექსტი განაცხადა, რომ ის ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს «ჯორჯთაუნ»-ის დირექტორი ოლღა ბერაძე** (დაბ. 27.06.1980წ, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. №38 ბ.26, პირადი №01019006365) ვანიჭებ **მარიამ შაიშმელაშვილს** (პირადი №01019052584) უფლებამოსილებას, კომპანიის არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების მშენებლობასა და პროექტთან დაკავშირებით ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, მიიღოს და/ან წარადგინოს საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, აწარმოოს მოლაპარაკებები, ჩემი სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, ექსპლუატაციაში მიღებისა და მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით, დაესწროს საქმის განხილვას, აწარმოოს მშენებლობა, დაარეგისტრიროს ნებისმიერი დოკუმენტი, აზომვითი ნახაზი, პროექტი და/ან ხელშეკრულება მარეგისტრირებელ ორგანოში, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მათ შორის: იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, ქ. თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ დაწესებულებაში, არქიტექტურასა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის იქნება საჭირო.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2018 წლის ცამეტი ივნისის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №B16097887, ს/კ 405017440, ამონაწერის მომზადების თარიღი 06/07/2016);
2. წესდება ხელისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის საიტზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.7-ის თანახმად), დღგ - 1.80 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს «ჯორჯთაუნ»-ის დირექტორი
ოლღა ბერაძე ----------

ნოტარიუსი ---------- შორენა ხაინდრავა